# ცნობის ფურცელი

№ 1952 | კვირა, 13 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1952

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: „ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.


**ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-62 №-რი**


მთავრობის ნებართვით
სამს ღვინობის თვიდან გაიხსნა

## ახალი მეთორმეტე აფთიაქი

პროვიზორის ნიკოლოზ ივანეს ძის

## გაზიეროვისა.

პესკის ქუჩა, სახლი № 26. (10—3)

წარმოდგენა 5 ტელეფონი 617

✦ დილის წარმოდგენა ✦

## ქართული თეატრი

კვირას, 13 ოქტომბერს 1902 წ.
შუადღის 12 საათზე
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
მეტად დაკლებული ფასებით
✿ მეორე იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✿

## ლანდი

(ანუ ბრძოლა მეცნიერებისათვის და სარწმუნოებისთვის).

დრამატ. ზღაპ. 5 მოქმ. და 6 სურ. თარგმ. ლაზარიაშვილის მიერ.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, როსტომიანი, ნათელი, ლალია და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ლ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ლანდი, ქლენტი და სხვანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 4 მანეთიდან 6 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 1 მ. 50 კ-დე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მანეთამდე, გალერეა 20 კ-დან 35 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 40 კაპ.

**დასაწყისი შუადღის 12 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი", „უბედურ ვარსკვლავზე" და სხვ.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, კვირას, 13 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

## კარმენი

ოპერა 4 მოქ. მუსიკა ბიზესი.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: კარამზინა-ჟუკოვსკისა, გაშინსკისა, სკორუპსკისა, ბაუერი და სხვანი; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, იზმაილოვი, პეტროვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** დ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, ორშაბათს, 14 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება „ცარსკაია ნევესტა". მალე **ბენეფისი** იქნება არტისტის **ა. პ. ბონაჩიჩისა**. ბილეთები იყიდება.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (ნ. 0—21)

ექიმი

## ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. ა. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ა. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ბრ. მ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274. (წლ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

**კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა**

## „შრომა"

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან,

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—14)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე

## მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

**დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის**

## კრება

ნაცვლად არ შემდგარის კრებისა. განსახილველია: 1) წარსული წლების ანგარიშები და 2) ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დიდ ქუჩაზე. (3—3)

სრულიად ახლად გადაკეთებული

## „იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—2)


## საზღვარ-გარედ

**ინგლისი.** წარსულ ხუთშაბათს პარლამენტის შემოდგომის სესია გაიხსნა. დეპუტატთა პალატის პირველი სხდომა მეტად შფოთიანი იყო. როცა პირველი მინისტრი ბალფური და ირლანდიის საქმეთა მინისტრი პალატაში შემოვიდნენ, ირლანდიელებმა სტვენა დაუწყეს. შემდეგ სპიკერმა (პალატის თავმჯდომარემ) გამოაცხადა: ირლანდიიდან ორი მოსამართლე წერილით მატყობინებს, ორი ირლანდიელი დეპუტატი დავატუსაღეთ და ციხეში ჩავსვითო. მაშინ ირლანდიელმა დეპუტატმა ო' ბრაიენმა მოითხოვა, მთავრობამ ერთი დღე დაჰნიშნოს ირლანდიის მდგომარეობის განსახილველადაო. ბალფურმა უარი გამოაცხადა ამაზე, რადგანაც პალატას დიდძალი საშური საქმე აქვს გასარჩევიო: სასკოლო კანონ-პროექტი, ლონდონის წყლის მილის და შაქრის კონვენციის ბილები (კანონ-პროექტები), ტრანსვაალის საფინანსო საქმე და დასასრულ უგანდაში რკინის გზის აშენების საქმე. ბოლოს ბალფურმა მოითხოვა, მთავრობის კანონ-პროექტები მთელის სესიის განმავლობაში ყოველთვის წინ ირჩეოდეს კერძო დეპუტატების კანონ-პროექტზედაო. ბალფურის განცხადების წინააღმდეგ ირლანდიელების გარდა, ლიბერალებმაც ჰარკორტმა, მორლეიმ და სხვამ პროტესტი გამოაცხადეს. ლიბერალებს გაუკვირდათ, რომ მთავრობა უგანდის საქმეებს უფრო დიდ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ირლანდიისასაო. ამის შემდეგ ლაპარაკის ნება ირლანდიელ დეპუტატს გილის მისცეს. ოხუნჯობით განთქმული დეპუტატი მოჰყვა და ვრცლად აუხსნა პალატას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „კუნძულ" უგანდასაო (პალატა ხარხარობს). გილის შემდეგ მეორე ირლანდიელმა დეპუტატმა ო'დონელმა ითხოვა ლაპარაკის ნება. ო'დონელი ექვს თვეს იჯდა ციხეში და ეს არის გამოვიდა სატუსაღოდან. ბალფურმა მოითხოვა კამათი დასრულდესო. ირლანდიელებმა დიდი შფოთი ასტეხეს. ო'დონელმა მაინც დაიწყო ლაპარაკი. სპიკერმა შეაყენა, ლაპარაკის უფლება არავის მოუცია თქვენთვის და უნდა გაჩუმდეთო.

ო'დონელმა მაინც განაგრძო ლაპარაკი, თუმცა-კი იმის ნათქვამი კარგად ველარ ისმოდა, რადგანაც პალატაში ხმაურობა დაიწყო. ო'დონელმა სთქვა: „ის არა კმარა, ციხეში ჩამაგდეთ, ეხლა გინდათ, პირში ბურთიც ჩამჩაროთო!" ირლანდიელ დეპუტატის სიტყვები მინისტრებს, ეტყობა, არ ესმოდათ, ამიტომ ო'დონელი ხელად თავის ადგილიდან ადგა და ბალფურთან მიიჭრა. მთავრობის მომხრე პარტიის დეპუტატებმა იფიქრეს, სწორედ პირველ მინისტრს ეცემა ეხლავეო, და ო'დონელს გზა შეუკრეს, მაგრამ ირლანდიელმა დეპუტატმა მარტო იმით მოიჯერა გული, რომ ბალფურს მიაძახა: „მეზიზღებით!" პალატაში საშინელი ხმაურობა ასტყდა. სპიკერმა წინადადება მისცა პალატას, ო'დონელს დროებით სხდომებზე დასწრების უფლება წავართვათო და პალატამაც 341 ხმის უმეტესობით 51 წინააღმდეგ მიიღო ეს წინადადება. ო'დონელი პალატის დარბაზიდან გავიდა. ამის შემდეგ პალატამ 117 ხმის უმეტესობით 117 წინააღმდეგ ბალფურის წინადადება მიიღო და სასკოლო ბილის განხილვას შეუდგა.

✦ სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნებულმა სათადარიგო ჯარმა კიდევ ახალი მანიფესტაცია მოახდინა: დიდ ქუჩებში პროცესიით გაიარეს და გზა და გზა ამნაირ შინაარსის ფურცლებს არიგებდნენ:

„გინდათ, რომ მაინც სამის წლის განმავლობაში ინგლისის სახელისათვის იბრძოდნენ სამხრეთ-აფრიკაში, ან შიმშილისაგან დაიხოცნენ, ან სამუშაო სახლში მოჰყვნენ, ისე როგორც ყირიმის ომის გმირებს მოუვიდათ? თუ არა და მაშ დაგვეხმარენით, რომ მთავრობისაგან სამართალი გამოვიტანოთ".

**საფრანგეთი.** სამის დღის კამათი საკონგრეგაციო სკოლების დახურვის თაობაზე მთავრობის გამარჯვებით გათავდა. კომბმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა კონგრეგაციების წინააღმდეგ და გამოაცხადა, მთავრობა კიდევაც შეავსებს ასოციაციების კანონსაო. „თუ კონგრეგაციებს სუსტად მოვექცევით, რესპუბლიკა დიდ საფრთხეში ჩავარდება", — სთქვა პირველ-მინისტრმა. ალჟირის გუბერნატორად ნამყოფ ჟონარის სიტყვამაც ძლიერ ააღელვა პალატა. ჟონარი აქამდე მელინისტების პარტიაში ითვლებოდა, მაგრამ ეხლა გაბედულად გადავიდა მთავრობის მხარეს და საშინლად დაჰგმო კლერიკალიზმი, კონგრეგაციები და „შემოერთებულები", ესენი ფარულად ძირს უთხრიან რესპუბლიკასაო. ჟონარმა ასე დაასრულა ლაპარაკი: „წინად სოციალისტებთან კავშირის წინააღმდეგი ვიყავი, ეხლა კი ჭკუაში მომდის ეს კავშირი". როცა ჟონარი ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, მემარცხენეთა პარტიამ ძლიერი ტაშისცემა ასტეხა, ოპოზიციამ კი მტრული დემონსტრაცია გაუმართა. ამის შემდეგ დეპუტატებმა 8 წინადადება შეიტანეს იმის თაობაზე, თუ რა ნაირად შეუდგეთ მორიგ საქმეების განხილვასაო. კომბმა გამოაცხადა, მთავრობა მოჟან-ჟორესის წინადადებას დათანხმდაო. ეს წინადადება ამნაირი იყო: „პალატას ჰსურს კანონი კონგრეგაციების თაობაზე მხნედ და გაბედულად აასრულოს, მთავრობის განცხადებასა და მოქმედებას იწონებს და მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგება". ეს წინადადება 322 ხმის უმეტესობით 233 ხმის წინააღმდეგ მიიღო პალატამა. ამის შემდეგ კომბმა ახალი კანონ-პროექტი წარადგინა კონგრეგაციების მოქმედების შესაზღუდავად და მოითხოვა, პალატამ დაუყოვნებლად განიხილოს ეს კანონ-პროექტიო. თუმცა ოპოზიციამ ძლიერი პროტესტი გამოუცხადა, მაინც პალატამ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა, ახალი კანონ-პროექტი დაუყოვნებლივ განვიხილოთო.

✦ საფრანგეთის ეპისკოპოსებმა ყველამ საერთო წერილი მისწერეს სენატორებსა და დეპუტატებს და სთხოვეს, თავისუფლების პრინციპს ნუ დაათრგუნვინებთ მთავრობას და საკონგრეგაციო სკოლებს ნუ დაახურვინებთო. ამ წერილზე 72 კაცს უწერია ხელი. ყველა ეპისკოპოსებში მარტო რუანის არქიეპისკოპოსს და კიდევ სამს ეპისკოპოსს არ მოუწერიათ ხელი. ხმა დადის, მთავრობას სწადიან ამ წერილის ავტორებს ჯამაგირები მოუსპოსო. ზოგიერთი რადიკალური გაზეთი ამ შემთხვევის გამო თხოულობს კონკორ-

დატი (პაპთან შეთანხმება სასულიერო საქმეების თაობაზე) მოვშალოთო.

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** ჩეხიის პარტიებმა ყველამ მთავრობის პროექტი ენების უფლების შესახებ დაიწუნეს და გამოაცხადეს: ამისთანა პროექტის თაობაზე მოლაპარაკებას ვერც კი დავიწყებთ გერმანელებთანაო. და თუ ორსავე ენას ნამდვილი თანასწორება მიენიჭება, მაშინ კი დიდის ხალისით შევუდგებით მოლაპარაკებასაო. მაგრამ კერბერი გერმანულ ენას მეტად დიდ უფლებას აძლევს, ამისთანა უფლება ცხადად ეწინააღმდეგება ავსტრიის ძირითად კანონს ეროვნებათა თანასწორობის შესახებაო. გერმანელებიც სასტიკად არჩევენ პროექტს, მაგრამ, რასაკვირველია, ესენი სულ სხვა თვალით უყურებენ საქმეს. ამათ რომ ჰკითხოთ, კერბერი თითქო ჩეხიის სახელმწიფო უფლების აღდგენის მომხრეა. ეს იქიდან სჩანს, რომ იმისი პროექტი მარტო ჩეხების ქვეყნებისათვის არის შედგენილი და არა მთელის ავსტრიისათვის. გერმანელები თხოულობენ, გერმანული ენა ოფიციალურ ენად გამოცხადდესო. ამბობენ, თუ ჩეხები დიდს წინააღმდეგობას გაუწევენ, კერბერი რეიხსრატის დათხოვნას ურჩევს იმპერატორსაო. პოლონელების კლუბის მეთაური იავორსკი გალიციის აგრარიულ გაფიცვის თაობაზე შეეკითხა მთავრობას. იავორსკი ამტკიცებს, გალიციის მოძრაობა სამუშაო ქირისათვის ბრძოლამ კი არა, რადიკალების პოლიტიკურმა აგიტაციამ გამოიწვიაო. პოლონელი დეპუტატი ეკითხება მთავრობას, ჰფიქრობთ რუსინთა აგიტაციის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიება მიიღოთ, თუ არაო?

**შეერთებული შტატები.** პენსილვანიის მადნის პატრონებისა და ქვა-ნახშირის მუშების დავის გადასაწყვეტად რუზველტს დაუნიშნავს კიდეც სამედიატორო კომისია. კომისიის მდივნად შრომის დეპარტამენტის სახელმწიფო კომისარი რაიტი დაუნიშნავთ. როცა კომისია თავის საქმეს დაასრულებს, მოხსენებას წარუდგენს რუზველტს, რუზველტიც მუშებს და მადნის პატრონებს გამოუცხადებს კომისიის დადგენილებას.

✦ „ნიუ-იორკ-ტრიბუნე“-ს ანგარიშით, პენსილვანიის მუშების გაფიცვამ 140 მილ. დოლარი ზარალი მისცა ორსავე მხარესაო. მუშებს 28,6 მილ. დოლარი სამუშაო ქირა დაეკარგათ, ვაჭრებს—6 მილიონამდე და მადნის პატრონებს—1,5 მილ. 40-ათასმა მუშამ პენსილვანია მიატოვა და სხვა ადგილებში იშოვა საქმე. გაფიცვა 27 აპრილს დაიწყო და ხუთ თვეზე მეტი გასტანა. მუშაობის აღკვეთამდე ყოველ კვირა 1,3 მილ. ტონა ნახშირს იღებდნენ, გაფიცვის დასასრულს კი 93 ათას ტონას ძლივს-ღა იღებდნენ.

## ახალი ამბავი

✦ საერო განათლების სამინისტროს, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, განუზრახავს გაამრავლოს სასწავლებელთა რიცხვი **რუსეთის განაპირა ადგილებში,** უფრო იქ, სადაც არა რუსნი სცხოვრობენ.

✦ დღეს, 13 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება მეორე და მესამე საარჩევნო ნაწილის **ხმოსანთა დამატებითი არჩევნები.** მესამე საარჩევნო ნაწილის ხმოსანთა არჩევანი დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო მეორესი—ნაშუადღევის 5 საათზე.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **წარუდგინა გუბერნატორს** ცნობები პირველ ნაწილის იმ ამომრჩეველთა შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხმოსანთა არჩევანებში. გამგეობა სწერს გუბერნატორს, რომ პირველ საარჩევნო ნაწილის კრებას დაესწრო სულ 293 ამომრჩეველი, აქედან 194 კაცს საკუთარი ცენზი ჰქონდა, ხოლო დანარჩენთ ვექილობა. ასეთსავე ცნობებს გამგეობა წარუდგენს გუბერნატორს მეორე და მესამე ნაწილების ამომრჩეველთა შესახებ.

✦ გუბერნატორი შეჰკითხებია ქალაქის გამგეობას, რად **გამოდის სხვა-და-სხვაობა** ამომრჩეველთა იმ კენჭებს შორის, რომელიც პირველ საარჩევნო ნაწილში არჩეულთ მიიღესო. გამგეობას ამის მიზეზი იმით აუხსნია, რომ არჩევნების დროს სამი კაცი სულ წასულან არჩევნებიდან და ხუთიც შეცდომით ორჯელ ყოფილა შეტანილი იმ სიაში, რომელიც იწერებოდა ამრჩეველთა მოსვლის დროს დარბაზის კარებშიო.

✦ დამატებით არჩევნებზე ხმოსნად არჩეულს თავ. გ. ნ. დიასამიძეს ური უთქვამს ხმოსნობაზე. როგორც აღმოჩნდა, თავ. დიასამიძეს ამორჩევის წინა დღეებში ქაღალდი მიუცია გამგეობისათვის და მეორედ კენჭის ჩამოტარებაზე უარი განუცხადებია.

✦ **ბათუმის ქალაქის გამგეობას** საბოლოოდ დაუმთავრებია ამომრჩეველთა სია. სულ 714 ამომრჩეველია სიაში შეტანილი. ხმოსანთა არჩევნები მომავალ ნოემბრის 10 რიცხვისათვისაა დანიშნული და ერთ დღეს და ერთ ადგილას უნდა მოხდეს.

✦ ხვალ, 14 ოქტომბერს, ტფილისის **ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს სულ 27 საქმე.

✦ ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილებში **ახლად მოსაკირწყლავ ქუჩა-მოედნების** რაოდენობის გამოკვლევა დაუმთავრებია იმ დასებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ეს საქმე. მცირე კომისიას უანგარიშნია, რომ ქალაქში სულ 100 ათას ოთხ-კუთხს საჟ. ქუჩა-მოედნებია ახლად მოსაკირწლავი. თუ რიყის ქვით მოიკირწყლება ყველა ესენი, ამას დასჭირდება 3000 ათას მანეთამდეო. კარგის წესით ქუჩა-მოედნების მოსაკირწყლავად ქალაქს 600 ათასი მანეთი აქვს; ამას რომ 300 ათასი მიუმატოთ, რაც იმ ქუჩა-მოედნების ახლად მოკირწყვლას დასჭირდება რომელიც ჯერ სრულებით არ მოკირწყლულა, ქალაქს სულ დასჭირდება თითქმის ერთი მილიონი მანეთი.

მცირე კომისიას ისიც უანგარიშნია, რომ, თუ ქალაქი ყოველ წელს თავისს ხარჯში 5 ათას თუმანს შეიტანს ქუჩების ახლად მოკირწვლის ხარჯად, შვიდი წლის განმავლობაში სულ ერთიანად მოიკირწლება ქალაქის ქუჩა-მოედნებიო.

მცირე კომისია სთხოვს კომისიას მუშათა დასები გამგეობამ არ დაითხოვოს, მუდამ დაგვჭირდება ქალაქის ამა თუ იმ უბანში ქუჩებ-მოედნების კვლევა და იმათი შესაკეთებელ ხარჯების ანგარიშიო. კომისია დაეთანხმა და სთხოვს გამგეობას მუშათა დასები არ დაითხოვოს.

კომისია აპირებს ქუჩების შესახებ პროექტი შეიმუშაოს იმ წესებისა, რომელიც სავალდებულო იქმნება სახლის პატრონებისათვის. ამ პროექტით კომისია ურჩევს, მომავალში სახლის პატრონმა საჟენზე გადაჭრილი ფული შემოიტანოს და თვითონ ქალაქი იკისრებს ქუჩების შეკეთების საქმესაო.

✦ სოლოლაკის მთაში **გვირაბის გაყვანის** შესახებ კომისიას შეუმუშავებია პირობები, რომლითაც გვირაბის გამყვანნი ქალაქს შეეკრენ. ისინი ვალდებულნი არიან 2 წლის განმავლობაში საქმეს შეუდგნენ, თორემ ამ ვადის გასვლის შემდეგ პირობას ძალა ეკარგება და წინად შემოტანილი ფულიც ქალაქის საკუთრებად დარჩება. ათი წლის შემდეგ ქალაქს უფლება აქვს კონცესიონერებისაგან საქმე გამოისყიდოს. დაბახანაზე ხიდი წინადვე უნდა გაკეთდეს და მაშინვე ქალაქის საკუთრებად უნდა გახდეს.

კომისიას ხმის უმეტესობით დაუდგენია, გვირაბში გასვლაზე ყოველ ეტლს შაური გამოერთვას, ქვეითად მოსიარულეს-კი ორი კაპეიკი. ამის წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ კომისიის ორ წევრს—თავ. არ. ბებუთოვს და არ. ბაბოვს—ქვეითად მოსიარულეთ არაფერი არ უნდა გადაახდევინონო.

✦ ერევნის **რკინის გზის ჩაბარებას** 14 ოქტომბრიდან დაიწყებს ჩვენი რკინის გზების სამმართველო.

✦ ჩვენი რკინის გზების უფროსის მოადგილემ, ინჟენერმა ი. ს. შაიკევიჩმა დეპეშით აცნობა მთელს გზებზე, რომ სადგურს შამქორსა და სადგ. ქიურუქჩაის შუა, სულ 50 ვერსტის მანძილზე, 14 ოქტომბრიდან ორისავე გზით **ივლიან მატარებლები.**

✦ 11 ოქტომბერს ყარსის **მატარებლის ქვეშ მოჰყვა** ვიღაც ახალგაზდა კაცი, ისე 18-19 წლისა. მატარებელმა ზედ გადაუარა და თავი ტანს მოაშორა. ცხვირსახოცში უნახეს რეალურ სასწავლებლის გერბი; ქუდიც ყვითელ „კანტიანი“ აქვს. პატარა ვერცხლის საათის გარდა ჯიბეში სხვა არაფერი აღმოაჩნდა. ყმაწვილს ლამაზი სახე აქვს. გვამი რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ჩვენი რკინის გზების უფროსს უთხოვნია გზათა სამინისტროსათვის, **დახმარება აღმოუჩინეთ** ვოგზალთან ახლო მართლ-მადიდებელთა ეკკლესია ავაგოთ მოსამსახურეთათვისო.

✦ სამხედრო სამსახურში მიღებულ ჯარის კაცთა გამგე სამმართველოს უთხოვნია ტფილისის პოლიცმეისტრისათვის, **პასუხის გებაში მიეცით** ყველა ისინი, რომელნიც ჯარში ნამსახურნი არიან და წელს დროებით სამსახურის გადასახდელად არ გამოცხადდნენო. მარტო მე-10 უბანში პოლიციას ნაანგარიშევი ჰყავს ასეთები 537 კაცი.

✦ გამგეობამ გაარჩია ყველა დადგენილება იმ კომისიისა, რომელიც ქალაქის **ტრამვაის საქმეებს განაგებს,** და დაამტკიცა ყოველივე შენიშვნა კომისიისა ტრამვაის გზებზე შენიშნულ უწესოების შესახებ; კომისიის მიერ დანიშნული ჯარიმებიც დაამტკიცა. გამგეობა ავალებს ტრამვაის სამმართველოს, კონდუქტორებმა ბილეთები არ ჰყიდონ იმ დროს, როცა ვაგონი თავ-თავქვე მიდის დაღმართებში: ამის მაგიერ კონდუქტორი უნდა თავის ადგილას იდგეს და ტორმოზს მაგრად იჭერდეს, რომ ვაგონი არ დაჰქანდეს და უბედურება არ მოხდესო.

✦ 9 ოქტომბერს ბათუმს ზღვით მისულა კურსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბ-ნი ევრეინოვი („ჩ. ვ“).

✦ ტფილისის **გუბერნატორი შეჰკითხვია** ქალაქის გამგეობას, რატომ აქამდე პასუხს არ იძლევით და მე-8 უბანში მტკვრის ნაპირად ნაგავის დაყრას არ იშლითო. გამგე-

# ფელეტონი

### პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ქვეყანა დაჭკვიანდა, მხოლოდ პოეტები ცდებიან.—სვანეთის მართალი ამბავი.—ბატონყმობა არ გადავარდნილა.—თელაველი ქალების „გაფიცვა“.—ფიქრები...მხოლოდ ფიქრები.—ჩემი მწუხარება.—მეგობრული სიტყვა.

ოდესღაც შოთა რუსთაველს უთქვამს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის თავის ჭირსა არ დამრიდადო“... მაგრამ ეს ყველაფერი შოთას დროს ყოფილა, თორემ დღეს ამის მთქმელს „სულელს“ დაუძახებენ და გზადაბნეულს და ძალიან და ძალიანაც არ მოუწონებენ ასეთს „სისულელეს“...

ქვეყანა გამოიცვალა. შოთას შემდეგ შვიდი საუკუნე გავიდა, ხუმრობა საქმე არაა, —და ღვთისა თუ სატანის შემწეობით გავსერიოზდით, ავის და კარგის გარჩევა ვიცით, რაც სასიამოვნოა, მოგვწონს, რაც საწყენია, ვგმობთ. პატარა ბავშვმა არ იცის, თუ ცეცხლი რაა და ხშირად ხელს იწვავს, მაგრამ მერე კი ისწავლის ჭკუას და ძალიან უფრთხის ცეცხლს. ჩვენც ბევრი რამ არ ვიცოდით წინად, მაგრამ ვისწავლეთ, ვისწავლეთ და კიდევ ვისწავლით: ვისწავლეთ მოთმენა და გაგონება, თბილის სახლის და გემრიელის ლუკმის ფასი, ხარისხის და პატივის მნიშვნელობა...არა, ბატონებო, სიცოცხლე, გინდ ათჯერ ნაძრახი იყოს, მაინც სიცოცხლეა, და სიკვდილი ხომ მაინც სიკვდილია. კაცი რომ მოკვდება, კუბოში ჩააგდებენ და მიწაში ჩამარხავენ, და როდესაც ცოცხალია, მაშინ-კი სვამს, სჭამს, არშიყობს, ჯილდოს და საჩუქრებს ღებულობს!

დიაღ, ქვეყანა „დაჭკვიანდა“. და კაი მოგეცეთ, კარგი ეს იყოს, მაგრამ პოეტები, მგოსნები რომ არ „დაჭკვიანდნენ?“ ნეტავ რა უნდათ, რად არ გვასვენებენ, რად გვიფრთხობენ ძილს, რად გვგლეჯენ ლუკმას პირიდან? როგორ, გამოვეკიდოთ რაღაც ოცნებას—პატიოსნებას— სიმართლეს და უკუ ვაგდოთ ის, რაც პირადად ჩვენთვის სასარგებლოა, რაც ჩვენ სიმდიდრეს მოგვიპოვებს და ხარისხით დაგვაგვირგვინებს? რითია ცუდი ჯაშუშობა, მამულის გაცემა, მოძმის გაძარცვა, სხვისი გულ-ღვიძლის ამოგლეჯა, სისხლის გამოწოვა, ზნეობით დატანჯვა და გონებით დამახინჯება?...

მგოსნებს კარგად უთხრა თამარმა, იმ თამარმა კი არა, თამარ ცბიერმა:

„ნეტავ მგოსნები რა ქმნილება ხართ,
რისგან ხართ მაგრე ახირებული?..
ნამდვილსა სტოვებთ უყურადღებოდ
და გულს აყოლებთ შეთხზულსა ზღაპარს!“

თუმცა სახელად **სიცრუვე** მქვია და **სიცრუვე** ვარ, მაგრამ ჩემს სიტყვას მაინც ისეთი გასავალი არა აქვს, თორემ იგეთ რასმეს ვინატრიდი, რომ...

არა, ამ გრინგმუტს და პალმს რა მოუვიდათ, რომ ამდენ ხანს არ მოითხოვეს პოეტების ჩამოხრჩობა?!

* *

ყველა პოეტი სტყუის. ვის გინახავს ისეთი პოეტი, რომ სულ თავისუფლებას არ გაიძახოდეს?*) „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-სადგური, შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა, შენ ხარ სამოთხე, ყოველის ფრით აღსავსე, სრული“. რომ ეს ტყუილია და სრულიად შემცდარი აზრი, ეს შეგიძლიათ ჰკითხოთ თუნდ გაუნათლებელ სვანებს, რომლებიც გეტყვიან: ვიდრე ყმები ვიყავით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და რომ გავთავისუფლდით, ლამის სიმშილით გავწყდეთო. ბატონ-ყმობის მოსპობა ხომ რეფორმაა და რეფორმა კიდევ პროგრესი, უკეთესობა, წინსვლა. ასე გვეგონა, მაგრამ ასე არ ყოფილა სადადიშქელიანო სვანეთში, ან ბატონ-ყმობის მოსპობა თუ ყოფილა რეფორმა, ბატონებისათვის და არა ყმებისათვის. მაინც დედამიწაზე ყველაფერი ასეა, ყველაფერი შედარებითია. რაც ერთისთვის პროგრესი და ბედნიერებაა, მეორესთვის რეგრესი და უბედურებაა. ჩვენ რომ ვინმე მოგვიკვდება, ვსტირით და ცრემლებს ვღვრით, ვაი ჩვენი ცოდვა, კაცი მიწაში უნდა ჩავმარხოთო, მატლებს კი უხარიათ, ლუკმა მოგვივიდაო.

ხო, სვანებს თურმე, ვიდრე თავისუფალნი არ იყვნენ, საკუთარი მიწა ჰქონდათ, ტყეც და საბალახოც, და ბატონს მხოლოდ ერთს ძროხას აძლევდნენ ორის წლის განმავლობაში. დღეს-კი განთავისუფლებულს სვანებს არც სახნავი აქვთ, არც ტყე, სხვის მიწას ხნავენ და თესვენ, სხვის მიწაზე აბალახებენ საქონელს. ბატონს აძლევენ მოსავლის ორს მესამედს და თუ ცუდი მოსავალია, მაშინ მთელს მოსავალსაც**), ღალას იხდიან „საკალანდოს“, საახალწლოს, საშობოს დ სააღდგომოს, საზაფხულოს და საზამთროს, იხდიან ბაჟს წნელისას, ხისას, ქვისას, სილისას, ქვიშისას, თევზისას, ნადირისას, ერთის სიტყვით ყველაფრის ბაჟს, რაც მიწასა შინა და მიწასა ზედა არს და შეიძლება რაც არც მიწასა შინა და არც მიწასა ზედა არა არს.

ეგ ჯერ კიდევ ნახევარი უბედურებაა, როგორც რუსები იტყვიან. მაგრამ სვანის ხორცის ბატონი—ბატონია მისი სულისაც. ბატონია სვანის მოსამართლე და მამასახლისი, ბატონია მისი მღვდელი და მაცხოვნებელი: უბატონოთ სვანს არ შეუძლია არც იჩივლოს, არც იპასუხოს, არც ცუდი იფიქროს, არც კარგი, არც ცოდვა ჩაიდინოს, არც მოინანიოს, არც ცოლი შეირთოს, არც შვილი შეიძინოს და მონათლოს!...

„თავისუფლება ხომ არ გვინდა და არა, მაგრამ სვანების ამბის შემდეგ—ღმერთმა გვაშოროს, ღმერთმა გვაშოროს!“ უეჭველია წამოიძახებს მკითხველი და თავმომწონედ იტყვის: „ისევ ბატონ-ყმობა სჯობიაო“.

* *

იტყვის და სანეტარო კმაყოფილებას იგრძნობს, რომ ახალი არგუმენტი მოიპოვა.

განა ბატონყმობა არ უნდათ იმ პირებს, რომლებიც სამეურნეო საზოგადოების კრებებზე გაიძახიან, რომ გლეხი მიწას მივალურსმოთო და გლეხებს ერთი-ერთი მანეთისთვის პასუხი ვაგებინოთო? ჩვენ სოფელში ას კაცში ორმოცი (?!) ქურდი და ავაზაკიაო, დღე არ გავა, რომ რომელსამე სოფელში ცხენები არ მოიპარონ, ვენახები არ გასჩეხონ, თივები არ დასწვან და სხვაო, ბოროტ-მოქმედება მაშინ მოისპობა და კულტურაც გზას მაშინ გაიკაფავს, როდესაც ადმინისტრაციას მოსამართლის უფლება მიეცემა წვრილმანი საქმეები განიხილოს და დამნაშავენი დასაჯოსო, როდესაც ყოველის დანაშაულობისათვის პასუხის მგებელი იქმნე-

*) მე მინახავს ასეთი პოეტი—ველიჩკო.
ასოთ-ამწყობი

**) ახირებული ლოღიკაა: თუ ცოტაა მოსავალი, მაშინ უფრო ცოტა არ უნდა წაიღოს ბატონმა?
ასოთ-ამწყობი

ობამ მოახსენა გუბერნატორს: ა) იმის მიზეზი, თუ რატომ გვიგვიანდება პასუხის მოცემა ან საქმეების წარმოების დაჩქარება— თქვენ კარგად მოგეხსენებათ თვით გამგეობის წევრთაგან პირადად წარმოდგენილის საბუთებითაო; ბ) მადათოვისა კუნძულისა და გოგილოს აბანოსაკენ სანაგვეს გადატანა მე-8 უბნის მცხოვრებლებს მეტად შეავიწროებს და გ) ამ ადგილას სანაგვე ადგილის მოშლა მჭიდროდ დაკავშირებულია იმ პროექტთან, რომელიც ნაგვის გადაზიდვის გაწეს-რიგებას შეეხება და რომელიც კარგა ხანია მთავრობას წარუდგინა ქალაქმა და დღემდე პასუხი არ მოსვლიაო. გამგეობა სთხოვს გუბერნატორს, სანამ ეს პროექტი არ დამტკიცებულა, ნაგვის გადასაყრელი ადგილები მანამდე იქ დარჩეს, სადაც ეხლააო.

✦ მღვ. რაჟდენ ჭალაგანიძე და ჰ. ს. ჭალაგანიძე გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ჩვენ გადმოგვცა ქ-ნმა ქეთევან ტატიშვილისამ და ოდიდა ხოფერიასამ ევგენი პეტრეს ძის გეგეჭკორისათვის გადასაცემად 79 მ., შეკრებილი მათ მიერ სხვა-და-სხვა პირთა შორის. გეგეჭკორმა მიმდინარე წელს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლა დაასრულა და ამ ჟამად მოსკოვის უნივერსიტეტშია უმაღლეს სწავლის მისაღებად. გადმოცემული ფული დაუყოვნებლივ გადავეცით კუთვნილებისამებრ. ჩვენის მხრივ უგულითადეს მადლობას ვსწირავთ პატივცემულ მანდილოსნებს“.

✦ ნავთლუღში 11 ოქტომბერს, ღამე, დიმიტრი ჩიქავაძის საქონელს ორჯელ დასხმიან თავს ვიღაც ქურდები; სდომებიათ საქონლის მოტაცება. ჩიქავაძის წყემსებს მალე შეუტყვიათ და ქურდებს ვეღარაფერი გაუწყვიათ. მერე ქურდები ქალაქის საქონლის იმ საკარანტინო ბაკში წასულან, სადაც ავადმყოფობით საეჭვო საქონელს ინახავენ. რადგანაც დარაჯი იქ არა ყოფილა, ქურდებს ბაკის კარები გამოუმტვრევიათ, გამოუყვანიათ 5 სული საქონელი ყაზაროვისა და არუთინოვისა და ყარაიაზისაკენ წასულან. ქურდებს წინ შეჰხვედრია შაქრო კოშკელაშვილი, რომლისათვისაც დაუძახნიათ, ახლო არ მოგვეკარო, თორემ ეხლავ გაგათავებთო. კოშკელაშვილი უიარაღო და მარტო ყოფილა, რის გამო ქურდებს თავისუფლად გაურეკნიათ საქონელი და გაქცეულან. აი როგორ თავისუფლად დათარეშობენ ქურდები ტფილისის მიდამოებში.

✦ ვოგზალში რომ ფოსტის განყოფილება გაჰქურდეს, ამის შესახებ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ამ რამდენიმე დღის წინად განყოფილების მოხელეს იმ ზანდუკის გასაღები დაჰკარგოდა, რომელიც ქურდებს გაეღოთ და იქიდან მარკები ამოეღოთ. ეჭვი აიღეს, რომ გასაღები ქურდმა მოიპარა და მერე მარკების ქურდობა ჩაიდინა.

რკინის გზის ჟანდარმებს ქურდობის კვალი მიუგნიათ და ერთი ვიღაცაც დაუჭერიათო.

✦ გუშინღამ, ნაშუაღამევის მეორე საათზე, ცეცხლი გაუჩნდა დიდუბეში მცხოვრებლის პარასკევაშვილის სახლს. ცეცხლი შეჰნიშნეს მდგმურებმა და დროზე ჩააქრეს. ცეცხლი სამზარეულოში გაჩენილა და, როგორც აღმოჩნდა, ნავთიც მოესხა ვიღაცას. პოლიციამ ერთი კაცი დაიჭირა და გამოძიებასაც შეუდგა.

✦ ნაძალადევს იქით, ლოტკის გორას ხიდი იმდენად გაფუჭებულა, მოაჯირიც კი დაცვენია. ქალაქის აგენტი სთხოვს გამგეობას იმ ადგილას დროზე სხვა, უფრო[illegible]მაგარი და სამუდამო ხიდი გაკეთდეს, თორემ ისედაც ბნელია ეს ადგილები და რამე უბედურება მოხდებაო.

✦ დიდუბის მცხოვრებმა მელიქ ქიშმირიანცმა ქალაქის გამგეობას სთხოვა, ნება მიეცა მისთვის დიდუბეში იჯარით გაემართა ქალაქის ხორცის დუქანი და იგი დაენიშნა შემდეგ ამ დუქნის გამგედ. ქალაქის გამგეობისა და გამგე კომისიის შეერთებულმა სხდომამ განიხილა გუშინ-წინ ეს განცხადება და გადასწყვიტა პრინციპიალურად კერძო კაცებს არ მისცეს ნება ქალაქის დუქნების საქმეში გარევისა.

✦ ოქტომბრის პირველიდან 10-მდე ქალაქის ხორცის დუქნებისათვის დაუკლავთ სულ 163 ხარი, 10 ძროხა და 147 ცხვარი, სულ 7439 მანეთისა. ეს დაკლული საქონელი გაიყიდა სულ 9065 მან. 87 კაპ. ასე რომ მოგება ქალაქის გამგეობას დარჩა 1636 მ.ნ, 87 კაპ.

✦ ვაჭარმა არტემ ცატუროვმა განაცხადა პოლიციაში, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა სახლიდან მოჰპარა ძვირფასის ქვებით მოჭედილი ბეჭედი, 400 მანეთად ღირებულიო.

✦ 10 ოქტომბერს არხივნი ქუჩაზე ასლანოვის სახლში შეპარულა ტფილისის მოქალაქე სარქისოვი და მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები. ქურდი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ იშოვა ქუთაისმა საქმე და ალაპარაკდა! ეს საქმე ქალაქის გამგეობის წევრის მოძებნაა! მაგრამ ამ ძებნის დროს იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, ივარგებს თუ არა ესა თუ ის კანდიდატი ამ თანამდებობაზე. ქალაქის საბჭოში 50-მდე ხმოსანია და თითქმის თითეული მათგანი თავისს კანდიდატს ასახელებს. ბევრს, როგორც ამბობენ, თავის ნაცნობ-მეგობრისათვის ჰსურს ეგ ადგილი. ერთი სიტყვით, აირია მონასტერი და, ვგონებთ, ამის შედეგი ის იქმნება, რომ ყველას პირში ჩალას გამოავლებენ და სრულიად მოულოდნელ პირს დაინახავენ წევრის სავარძელში გამოჯგიმულს.

✦ იმერლები ხერხიანები არიან, მაგრამ ქუთაისის საზოგადო სასწორის მოიჯარადრემ ყველას გადააჭარბა ამ მხრით: სასწორის გირების მაგიერ მუშებს აყენებს სასწორის ფიცრებზე და ისე სწონის ყურძენსა და სხვა სანოვაგეს. და მართლაც პრაქტიკულია ერთი მხრით ეგ ხერხი: არც გირების ყიდვაა საჭირო და მუშებიც თავისით მედიან-ჩამოდიან სასწორზე; ასე რომ მწონელს გირების აწევ-დაწევით არც წელი ეტკინება და არც გული. მხოლოდ მეორე მხრით კი ცოტათი მოიუხერხულებს ეს ხერხი: მუშებს ხანდახან ზურგიდან ჩულის (კურტანის) მოხსნა ავიწყდებათ, მასთან ყურძნის მუქთად ჭამას ძლიერ ეტანებიან, რის გამო ხან მეტს იწონიან და ხან[illegible]ნაკლებს. ყურჩევ ყველას, თუ რამ გასაყიდელი აქვთ, დილით გაჰყიდონ, სანამ მუშები დაძღებოდნენ.

✦ მუშები კი ძღებიან და მოიჯარადრეც თურმე თავისკენ მიითლის, როგორც გამყიდველისაგან, ისე მყიდველისაგან, მაგრამ მცხოვრებლებს კი საჭმელი ყურძენი ვერ გვიშოვია. თუმცა წელს იმერეთში საზოგადოდ შარშანდელზედ უკეთესი მოსავალი იყო ყურძნისა, მაგრამ ოყობითა და გირვანქობით ნაყიდი ყურძენი შარშანდელზე ბევრად უფრო ძვირია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მედვინეები ყიდულობენ, რაც ყურძენი შემოდის, წურავენ სახლში, ათასგვარი წამლებით აზავებენ და გამოაქვთ დუქნებში გასასყიდათ. ვისმე რომ უნდოდეს თავისთვის ოჯახში ცოტა ღვინის დაყენება, ყურძენი ვერ უშოვია. საჭიროა ყურადღების მიქცევა, მაგრამ...

✦ ბალახვანის ქუჩა ისევ წარმოუდგენელს მდგომარეობაშია: ზედ გავლა შეუძლებელია; მაგრამ, რომ გაბედოს კაცმა, მაშინაც არ უშვებენ: დაუყენებიათ ყარაულებათ ოსები და გამვლელგამომვლელს ცხვირ-პირს ამტვრევენ. სოფლებიდან ქალაქში კაცი ვერ შემოდის, რის გამო სანოვაგე და ნამეტურ ხე-ტყე, რომელიც ამ ქუჩიდან შემოდიოდა, ძლიერ გაძვირდა. საღორიის ტყეში მოჭრილი ქალაქის შეშა გამოუტანელი რჩება და მყიდველები ქალაქს ჩივილს ემუქრებიან, ფული მიღებული გაქვთ და შეშა რატომ არ მოგაქვთო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაგავი და სხვა გვარი სიბინძურე ქალაქიდან ვერ გაუტანია კაცს, რის გამო ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იქმნება ისედაც „სუფთა“ ქუთაისი. მგონი, ესეც ყურადღების ღირსია, მაგრამ...

## რუსეთის ქრონიკა

✦ პეტერბურგში განუზრახავთ განსაკუთრებულ ბიუროს დაარსება. ბიურომ მსურველთ უნდა მიაწოდოს ყოველ-გვარი ცნობა, რაც-კი ინდუსტრიას შეეხება. უმთავრესი აზრი ბიუროსი ის იქმნება, რომ შუამავლობა გასწიოს მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის.

✦ სენატმა განმარტა, რომ გლეხი, რომელიც მამის შემდეგ დარჩენილ ნადელით სარგებლობს, მამის მემკვიდრედ არ ითვლება; ამიტომ ასეთი გლეხი პასუხის მგებელი არ არის მამის ვალებისათვის.

✦ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს გააადვილოს ნახევარ-სადგურებზე გასაგზავნ საქონლის მიღების საქმე.

✦ მთავრობას გადაუწყვეტია ბაჟი მოუმატოს იმ ნემსებს, რომელიც საზღვარ-გარეთიდან შემოაქვთ.

✦ სამთო დეპერტამენტმა გადასწყვიტა გამოსცეს განსაკუთრებული წესები იმ ბავშვების დასაცველად, რომელნიც მთა-მადნებში მუშაობენ. ხშირათ ამ მადნებში 10 წლის ბავშვებიც მუშაობენ თურმე. სამთო ინსპექტორები უკვე ჰკრებავენ ცნობებს მთა-მადნებში მომუშავე ბავშვთა შესახებ.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს დააარსოს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას, განსაკუთრებით კავკასიაში, ეგრედ წოდებული „ინტელიგენტთა სოფლები“. ამ აზრით სამინისტრო ადგილს დიდის შეღავათით დაუთმობს მსურველთ.

## კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

პარასკევს, 11 ოქტომბერს, ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. წინა კრების ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ ბ-ნმა საავოვმა განაცხადა, წარსულ კრებაზე აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სოფლის საჭიროებათა გამოსარკვევად მოეწყვნენ მეურნეთა კრებები. საზოგადოებამ მიიღო ჩემი წინადადება და გადასწყვიტა ნება-რთვის შესახებ შუამდგომლობა აღძრას. ეხლა გაზეთებში ვკითხულობთ, რომ საზოგადოების საბჭოს მთავარმართებლისათვის მიუმართავს ასეთის კრებების გასამართავად მხოლოდ თელავსა და გორში. არ მესმის, საბჭომ რატომ სხვა ადგილებში კი არ მოისურვა კრებების გამართვა? თავმჯდომარემ უპასუხა, რომ კრებამ თქვენი წინადადება პრინციპიალურად მიიღო და არ აღუნიშნავს, სად გაგვემართა კრებები. ამ საგანზე შემდეგ წარმოგიდგენთ ცნობას და მაშინ ვიქონიოთ ლაპარაკი სად გავმართოთ კრებებიო.

შემდეგ კრებას წარუდგინა განსახილველად მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი იმ წესდებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებმა, თუ საზოგადოებასთან გაჰმართავენ ცნო-

ბა მთელი სოფელიო,—განა ყველაფერს ამას ბატონყმობის სუნი არა სდის?

ზუგდიდში თურმე ამას წინად ქორწილი იყო, 1500 კაცი უჯდა სუფრას, დიდი ქეიფი და მხიარულობა იყო, მხოლოდ მხიარული ქორწილი მხიარულად არ გათავდა: **თავადმა ჩ—ნმა** ტყვიით გაუგმირა გული **აზნაურ ნ—ია**ს. მერე რატომ, იცით? იმიტომ, რომ აზნაურმა გაბედა სიტყვის გასწორება და „ალა ვერდის“ დაძახება სა-პა-ტი-ო **თა-ვად-თან**! განა ეს ბატონ-ყმობას არ მოასწავებს? რად უნდა დავივიწყოთ ეს! რომ დავივიწყოთ, ხომ ვინანებთ, როგორც ინანა საბრალო აზნაურმა ნ—იამ!

მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო! სიმშილით რომ მოვკვდე, გლეხსავით მაინც ვერ ვიმუშავებო, მისაყვედურა ერთმა თავადმა: იმუშავონ გლეხებმა! მიწა მე მაქვს, იმუშავონ და მოსავალი ნახევარი მე მომცენ, ნახევარი თვითონ ჰქონდეთ. მეტი რა უნდათ? ამაზე მეტი სამართლიანობა შეიძლება? იმუშავონ, იმუშავონ, დიაღ!

**

მაგრამ განა არ მუშაობენ?

ღმერთმანი, მუშაობენ! არ მუშაობენ თელაველი ქალები. გვეყოფა, რაც ზაფხულში ვიმუშავეთ-ვიმოღვაწეთო. რამდენი კრება ჩვენ მოვახდინეთ, რამდენი სიტყვა ჩვენ წარმოვსთქვით, ას ტომში არ დაეტევა, ვინმემ რომ გამოსცესო! გვეყოფა, ვინც მეტი ქნა, მას ეკითხაო! უფრო კი იმიტომ არ გვინდა მუშაობაო, გაიძახიან თელაველი ქალები: რომ ვიღაც **სიფუვა** ყოფილა, თავი მოგვაბეზრა, აგვწერა-დაგვწერა, აღარ მოგვასვენა, ხელი ვერ გაგვინძრევია, რომ მაშინათვე რამე არ წამოგვაყვედროსო. არც თქვენი საზოგადო საქმე გვინდა, არც თქვენი **სიფუვა**; ვიქნებით ჩვენთვის მოსვენებულად, ვისეირნებთ ბაღში, ვითამაშებთ ლოტოს, თავს შევიქცევთ ჭორებით და არშიყობით, და **სიფუვას** ყბაში არ ჩავცვივდებითო.

ეს, ალბად, ტყუილია, ვინმე მტერმა გამოუგონა თელაველ მანდილოსნებსა და შლაპოსნებს, თორემ განა არ ვიცი, თუ რა ღრმა სიყვარულით არიან გამსჭვალულნი საზოგადო ჩვენი ქალები საქვეყნო ინტერესებისადმი!

ტყვილია ისე, როგორც ტყვილია ის ამბავიც, ვითომც თელავში ახალი საზოგადოება არსდება, რომლის საგანი იქნება ახალგაზდა ქალების გათხოვებაო.

**

ეჰ! ვინც რა უნდა სთქვას, მე მაინც ჩემსას ვიტყვი და გავიხსენებ ჩემს ფიქრებს... მხოლოდ ფიქრებს.

რა სიჩუმეა! თითქოს ბუნებას საუკუნოდ ჩასძინებოდეს და ერთი ხმაც, ერთი ხმაც არსაიდან არ ისმის! ფრინველნი არ გალობენ, არ ღრიალებენ ტყისა ნადირნი, არ ისმის ფოთოლთ შრიალი, არც წყლის შუილი და ზღვის ტალღა ტალღას არ ეცემა და არ გააპობს ამ სიჩუმეს!

ვხედავდ ადამიანებს,—სახე მათი არ იცინის, არცა ცრემლები გადმოსდინდება მათ თვალებს, არც გრძნობა და არც ფიქრი არ აღბეჭდილა მათ შუბლზე და არ მესმის მათი სულის თქმა!

ჩემს გულში არაფერი არ მოძრაობს, სისხლი არ სჩქეფს ჩემს ძარღვებში, აზრები არ წარიტაცებენ ჩემს გონებას შორს ცისკენ; მე არ ვფიქრობ არც მწუხარებაზე, არც მხიარულებაზე. მომბეზრდა ჩემი თავი, საშინლად მომბეზრდა, მეშინია სარკეში ჩავიხედო, მეშინია ხმა ჩემი გავიგონო...

რად არ ამოვარდება ქარიშხალი, რად არ დაიქექს და არ გავარდება მეხი?! დეე შეირყეს დედამიწა, ზღვა გადმოდინდეს, გასკდეს ქვესკნელი და ამოხეთქოს ცეცხლის მდინარემ! მაშინ ყველაფერი შეინძრეოდა, ასტირდებოდა, იქნებოდა წამება და კვნესა! მაშინ გავიგონებდი ადამიანის ხმას!...

ნეტავ სად არის ის დიდებული შაჰ-აბაზი, ან მაჰმად-ხანი, რომ შემოესიოს ამ ჩვენს ქვეყანას, წალეკოს, ცეცხლი წაუკიდოს, ყველაფერი ააოხროს! წყალში ჩაგვყაროს, საკირეში ჩაგვწვას, სიმშილით გვაწამოს! ენა ამოგვჭრას, ცოცხლებს ტყავი გაგვაძროს, ნამუსი აგვხადოს, თავის ჰარემში წაგვრეკოს!

ოჰ! სად არის ნეტავ? სად არის? მაშინ მაინც ვიგრძნობდით, ვიტირებდით, ცრემლებს დავღვრიდით, ცრემლებს ღვთიურს, ცრემლებს სიცოცხლისას! მაშინ მაინც ვიცოცხლებდით, სული გვექნებოდა, თუმცა ხან მოკლედ!

ღმერთო, ღმერთო! გრძნობა მაჩვენე, თუნდ ეგ გრძნობა სიკვდილის გრძნობაც იყოს!..

**

ეჰ! მეც ეს პოეტებსავით მომივიდა და ძალიან შორს გამიტაცა ოცნებამ. თავიც მოვაბეზრე მკითხველს ამდენის ოხვრით და წუხილით. გაზეთს გასართობად ჰკითხულობენ, დღეს კიდევ კვირა დღეა, ყველას რამ სამხიარულო უნდა, მე-კი ვითომ რა? არ ვიცინო, არ ვილხინო, არ დავმღერო და ალტაცებით არ ვითამაშო? ან თუ მწუხარება მაქვს რამ, მინდა ვიყვირო ამაზე, ყველას ვაჩვენო ეს ჩემი გულის ნაღველი?

არა!.. არა!.. არა!

„ჩემს გულის თქმას ვერ გამოაჩენს ვერც ქარიშხალებრ აღმოსული კვნესა გულისა, ვერცა მელნის ფრად შეღებული წამოსასხამი, ვერცა თვალთაგან მომდინარე ცრემლის წყარონი, ვერც პირისსახე, მწუხარების გამომეტყველი!“...

არც ვიცინებ არც ვიტირებ და ამისათვის ნუ გაჯავრდება მკითხველი.

**

ყვირილის ბიბლიოთეკის გამგეობას და სარევიზიო კომისიის წევრებს დაუდგენიათ: „კრულვა, ზიზღი და ანაფემა ბ. სიტყვასო!“

მე ეს არა მწყინს, მეწყინება მხოლოდ ის, თუ ყვირილელებმა თელაველ ქალებსავით გული აიცრუეს საზოგადო საქმეზე და გაჭირვებაში ჩააგდეს საბრალო ბიბლიოთეკა. „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო“. მე თუ შევეხე ყვირილელებს, მხოლოდ როგორც მათი კეთილი მეგობარი, სულით და გულით მათის და მათის საქმისთვის კეთილის მოსურნე. თუ მოვთხოვე მათ მეტი სერიოზულობა, მეტი საქმიანობა, თუ დავცინე მათ პარტიობას, მათ წვრილმანობას, მათ უსოლიდარობას, ამით დავცინე საზოგადოთ ჩვენს წვრილმანობას, ჩვენის ცხოვრების სიბეჩავეს, რაის მიზეზი უპირველესად არის დღევანდელი საზოგადო პირობები...

ამ პირობებში მოგვეთხოვება ყველას მეტი სიმხნევე, ვაჟკაცობა, შრომა და თავგამოდება და არა უბრალოზე გულის მოსვლა და გაბუტება.

ცუდი გავისწოროთ და კარგს მარჯვეთ მოვკიდოთ ხელი!

**სიფუვა**

ბების მისაღებ საჯამისით ბიუროს. პროექტთან მოწერილობაა გამოგზავნილი. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი სთხოვს საზოგადოებას განიხილოს პროექტი და წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი. ამ გვარ ბიუროს აზრად ის ექნება, რომ საჭირო ცნობები მიაწოდოს ყველას, ვისაც რამე საქმე აქვს სასოფლო-მეურნეობასთან და საზოგადოდ შუამავლობა გასწიოს მწარმოებელსა და მყიდველს შორის. სხვათა შორის, ბიუროს გამოფენების გამართვაც შეეძლება. ბიურომ უბრალო ცნობების მიწოდების გარდა რჩევაც უნდა მისცეს ხოლმე სოფლის მეურნეთ, მაგალითად, უნდა ასწავლოს, სადაური რომელი ხორბლეულობა სჯობია, როგორ უნდა მიწას განოყიერება და გასუქება, როგორ მოუარონ ხეხილს, საიდან გამოიწერონ ნერგი და სხვ. უნდა უჩვენოს აგრეთვე სამეცნიერო თხზულებანი; დახმარება უნდა გაუწიოს მეურნეთ სპეციალისტების დაქირავების დროს, ამ სპეციალისტებს ადგილი მოუპოვოს. ბიუროს შეუძლიან გამოსცეს ცნობათა ფურცელი. ბიუროს საქმეები უნდა განაგოს საზოგადოების ამორჩეულმა გამგეობამ. ბიუროების დაარსების ნება-რთვა საზოგადოებებმა უნდა მიიღონ ადგილობრივ გუბერნატორისაგან.

ამ პროექტის გამო საბჭოსათვის ბ-ნ ევანგულოვს მოხსენება წარუდგენია. ევანგულოვის აზრით, საჭიროა ბიუროს დაარსება. ბიურო, უპირველესს ყოვლისა, დაარიგებს მეურნეთ, როგორ ებრძოლონ მავნე მწერებს; შემდეგ საკუთარ კორესპონდენტების საშუალებით ნამდვილ ცნობებს შეჰკრებს, რა ფასი აქვს ბაზარზე ამა თუ იმ ნაწარმოებს, გააგებინებს ყველას სამელიორაციო კრედიტის მნიშვნელობას და სხვა. საზოგადოების საბჭოს განუხილავს ბ-ნ ევანგულოვის მოხსენება და გადაუწყვეტია კრებისათვის წარედგინა განსახილველად. უმთავრესი ყურადღება კრებამ იმას მიაქცია, რომ ასეთის ბიუროს დასაარსებლად საჭირო თანხა, რაც საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არა აქვს. პრინციპიალურად კრებამ მაინც მოიწონა ევანგულოვის მოხსენება ბიუროს დაარსების შესახებ და გადასწყვიტა საბოლოვოდ ამ საქმის გადასაწყვეტად შემდეგ იქონიოს მსჯელობა.

შემდეგ კრებამ განიხილა მოწერილობა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისა საეკკლესიო ღვინის შესახებ. ამ საქმის განსახილველად ამორჩეული იყო განსაკუთრებული კომისია. კომისიის აზრით, იქ, სადაც ღვინის მოყვანას მისდევენ, წინანდელი წესი უნდა დარჩეს, ხოლო იქ, სადაც არ მისდევენ,—საეკკლესიო ღვინის მიტანა და გაყიდვა უნდა მიენდოს სანდო ფირმებსა და ამხანაგობებს. კრება დაეთანხმა კომისიის მოსაზრებას და გადასწყვიტა წარუდგინოს კომისიის მოხსენება მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

# თეატრი

**ოპერა.** 11 ოქტომბერს სათავად-აზნაურო თეატრში დასდგეს ოპერა „გუგენოტები“ მუსიკა მეიერბერისა. უმთავრესი როლები კარგად იყო განაწილებული, ამის გამო ოპერამ მწყობრად და კარგად ჩაიარა როგორც ვოკალურის, ისე დრამატიულის მხრივ და გარეგნობით. უმთავრესი ვაშა დაიმსახურა ბ. ბონაჩიჩმა, რომლის ხმა და დაკვირვებული თამაშობა იმდენად განვითარებულია, რომ საუკეთესო სცენის დამამშვენებელია. ხმა უფრო სუფთა და ძლიერი მაღალ ჰანგებში ეხატება.

მარგარიტა დევალუას პარტიას მღეროდა ქ. ვანდერ-ბრანდტისა. მეორე მოქმედებაში ძალიან ძნელი კოლორატურული პარტია აქვს; ამ საღამოს, როგორც ეტყობოდა, შეუძლოდ იყო, ამისათვის არია „სამშობლოს მხარე“ ისე ვერ იმღერა, როგორც შეეძლო. მეორე მოქმედებაშივე დუეტი რაულთან (ბონაჩიჩი) მშვენივრად და მუსიკალურად ჩაატარეს. კარგი იყო გაშინსკისა პაჟის პარტიაში. გემოვნებით შეასრულა პირველ მოქმედებაში „სალამი“. ამ ოპერაში არა ნაკლებ საყურადღებოა მარსელის პარტია; როგორც კარგი ხმა, ისე თამაშობაა საჭირო, მაგრამ ბ. რემეზოვი სუსტი იყო უფრო პირველში—სიმღერაში. მაღალი ნოტები სრულიად იკარგებოდა და ამისათვის მისი ლამაზი დაბალი ჰანგები ჰკარგავდნენ თავის ღირსებას. ბ. იზმაილოვზედაც (სენ-ბრი) თითქმის იგივე ითქმის. წინააღმდეგ ამისა სუნცოვი სრულიად უწვრთნელი გრაფი ნევერი იყო, თუმცა მღეროდა კარგად. გასაკვირველი ახალგაზდა არტისტებისა კიდევ ის არის, რომ პარტიებს კარგად არა სწავლობენ და სულ მეკარნახეს ფარდულსა და დირიჟორის ჯოხს უყურებენ. ეს ახდენს შთაბეჭდილებას. ზორინისა ვალენტინას პარტიაში უკეთესი იქმნებოდა, რომ ხმა სწვდებოდეს ის სიმაღლემდე, რამდენადაც ეს პარტიაა დაწერილი. რაკი ხმა თავისუფლად ვერა სწვდება, ხან-და-ხან კივილი ისმოდა, სამაგიეროდ მშვენივრად თამაშობდა. „გუგუნოტების“, ასეთი ძნელი დასადგმელი ოპერის ასე კარგად მოწყობამ და ჩავლამ სრულიად დაამტკიცა, რომ თავ. წერეთლის დასი კარგი არის. ხალხი ბევრი იყო.

# დაბა-სოფლები

**მუხრავანი.** (გარეთ კახეთი). ჩვენს სოფელში დუქანი აქვს ს. ხ—ვს. დუქანში ყოველ დღე თავს იყრის სოფლის მუქთა ხორა ახალგაზდობა, ლოთობს და შემდეგ ათას სისაძაგლეს სჩადის. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სართიჭალის ბოქაულმა, რომელმაც სთხოვა ტფილისის მაზრის უფროსს, ხ—ვს სრულიად აეკრძალოს სოფელში ვაჭრობა.

ამ რამდენისამე დღის წინად სართაჭალის საბოქაულოს მცხოვრებთათვის ივანე და ანდრია ციბელაურებისა, მახარა წიკლაურისა და ივანე ბეკაურისთვის მუღანლოს მცხოვრებთ სოგომ-მაჰმად-ოღლისა და რასუმ იბრაჰიმ-ოღლის მოუპარავთ 6 სული საქონელი, რომელიც 150 მან. მიუყიდნიათ ხ—ვისთვის. ეს ამბავი შეუტყვია პოლიციას და იმ დროს მისულა დუქანში, როცა ხ—ვის კაცი დაკლულ ხარებს თივაში ჰმალავდა. იმნაირადვე ხ—ვს აღმოუჩინეს 4 ხარი, ეს ხარები ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს ორხევის სადგურთან ღამის გასათევად დარჩენილ თელავის მაზრის რუის პირის მცხოვრებ დათიკო ნაცარაშვილისათვის მოუპარავთ და ხ—ვისთვის მოუყიდნიათ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ხ—ვს თითქმის ხელობად გაუხდია ნაქურდალ საქონლის ყიდვა. პოლიციამ ხ—ვი პასუხის გებაში მისცა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**11 ოქტომბერი**

**სოფია.** სტამბულოვის მკვლელს სტავრევს, რომელსაც ხალიუს ეძახიან, ჩამოარჩობა მიუსაჯეს.

— გაზეთი „რეფორმი“ გამარჯვების ამბებს ჰბეჭდავს. აჯანყებულთა მეთაური კუტრული რუპეკის ხეობაშია გამაგრებული, ცონჩევი პერინის მთებში მივიდა და უმთავრესი უფროსობა ჩაიბარა. ჩამწყვდეულმა იანქოვმა თავი დააღწია. ყველა ეს ცნობები ოფიციალურ ცნობებს არ ეთანხმება.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა რუსეთის ელჩი მიიღო, მაკედონიის ამბები გადასცა და დაავალა, ხელმწიფე იმპერატორს ჩემი მეგობრული განწყობილება გადაეციო. ამ დღეებში აქედან წავლენ ოსმალეთის სახელობით განსაკუთრებული ელჩები, რომლენიც ხელმწიფე იმპერატორს სულთნის საკუთარს წერილსა და საჩუქრებს მიართმევენ.

— რუსეთის ელჩმა მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას, კონტრიბუციის შემდეგი ხვედრი შემოსატანი დროზე შემოიტანოს. პორტამ გამოუცხადა, რომ ამ წლის შემოსატანი 350 ათასი გირვანქა მომავალ წელში უთუოდ გადახდილი იქმნებაო.

**სარატოვი.** საერობო კრებამ მოუმატა სწავლა-განათლების ხარჯებს 30 ათასი მანეთი, ასე რომ სულ 85 ათასი მანეთი გადასდო ამ საქმისათვის. 20 სახალხო წიგნთ-საცავი გაიმართება.

**სოფია.** ამბობენ, ბულგარიის მთავრობას ევროპის სახელმწიფოებისათვის მოუხსენებია, ოსმალეთი ტყუილად ბრალს გვდებს, ვითომ მაკედონიაში არეულობას ხელს ვუწყობდეთო. ბულგარიის მთავრობა თხოულობს, ის რეფორმები იყოს შემოღებული, რომელიც ბულგარიამ დაასახელა, თორემ მთავრობას არ შეუძლია მაკედონელთა სასარგებლოდ მოძრაობა მოსპოს ბულგარიაში.

**პეტერბურგი.** რადგან რამდენსამე გუბერნიაში პურის მოუსავლობაა, ფინანსთა სამინისტრო ერთ მილიონს ითხოვს, ერობათ სესხად მიეცეს გზების მუშაობის გასამართავად.

**12 ოქტომბერი**

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში დელკასემ გამოაცხადა, რომ ჩინეთმა ითხოვა შანჰაიდან სახელმწიფოებმა ჯარები გაიყვანონ. საფრანგეთი ამაზედ დათანხმდა, თუ ყველა სახელმწიფოები ერთ დროს გაიყვანენ თავ-თავიანთ რაზმებს. საფრანგეთმა დაუდო პირობად, რომ თუ სხვა სახელმწიფოები იქ შეიყვანენ ჯარებს, საფრანგეთიც გაჰგზავნის.

**სოფია.** ზოგიერთნი ცნობილნი აჯანყებულნი ბულგარიაში მოვიდნენ და ამბობენ, რომ დღენურად ცონჩევს გარშემო ოსმალონი შემოჰხვევიან. მაკედონელთ კვლავ ასახლებენ აქედან. ალბანელებისაგან შემდგარი ბატალიონი დათარეშობს ჯუმნასა და მის ახლო ადგილებში.

**ადესა.** 11 ოქტომბერს უბედურება მოუხდა საქონლის მატარებელს, რომელიც ადესიდან კიევში მიდიოდა. რამდენიმე დატვირთული ვაგონი დაიმსხვრა. არავინ არ დაშავებულა.

**ლონდონი.** „დაილ მაილს“ ბონკონგიდან ატყობინებენ, რომ თანხმად ლონდონში მოლაპარაკებისა კელანტანში და ტრინგანში საამის რეზიდენტებად დაინიშნებიან ინგლისელები.

**პეტერბურგი.** შლისელბურგიდან დაბრუნდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

„პრავიტ. ვესტნიკში“ დაბეჭდილია, რომ მინისტრის ფინლიანდიის სამთავროს სტატს-სეკრეტარის პლევეს პეტერბურგში არ ყოფნის დროს ფინლიანდიის სტატს-სეკრეტარიატის გამგებლობა დაევალა მინისტრის თანაშემწეს ერნშტრემს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს**—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43) წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

**ბაქოს**—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

**ბორჯომს**—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. ([illegible] ს. 28 წ.)

**ყარსს**—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან**—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

**ბაქოდან**—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

**ბორჯომიდან**—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

**ყარსიდან**—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ტფილისისაკენ**—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

**გ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ტფილისისაკენ**—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

**ბათუმისაკენ**—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

**ორპირისაკენ**—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).


# განცხადებანი

იყიდება

სამ-სართულიანი

**სახლი**

დუქნებით და ფლიგელით, იძლევა 8%-ს წმინდა შემოსავალს. იკითხეთ ბაზრის ქუჩაზე სახლი № 8, დილით 9—10 საათ. და საღამოთი 5—6 საათ. (10—1)

**№ 4711**

**ო-დე-ლი**

**EAU DE LYS**

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირმ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (შც. 1)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—13)

**ცინკოგრაფია**

**წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

**ახალი სახურავი,**

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

**ი. შელენგოვსკის**

და

**ამხანაგობისა**

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ

**ამხანაგობის წარმომადგენელნი:**

ტფილისში **გ. მულიარსკი**

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **პ. ჭილაძე**

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—42)

[illegible] და იაფი სახურავი

არ საჭიროებს [illegible]